



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №4(42) 2013 წ. 16-28 თებერვალი ფასი 50 თეთრი

სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვა დაიწყო

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვა კახეთის რეგიონში საგარეჯოს რაიონიდან დაიწყო. პროექტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი აფინანსებს და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს.

21 თებერვალს, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **დავით შერვაშიძე**, საგარეჯოს მაკორტიარ დეპუტატთან **თინათინ ხიდაშელთან** ერთად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს შეხვდა და სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამების შესახებ ისაუბრა. მინისტრის მოადგილე სასოფლო-სამეურნეო ბარათების გადაცემის პროცესსაც დაესწრო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრეზიდენტი

ორ ათეულ წელზე მეტია კახელი კაცი თავს იმართლებს – არ მაქვს საწვავი, ხვნა-თესვის ფინანსები, სწორედ ამიტომაც ვერ ვუვლი მიწის ნაკვეთს და ამიტომაც ვერ მომყავს მოსავალი. და ვინ იცის, რამდენი ჰექტარი მიწა, პატარ-პატარა ნაკვეთებად დაქუცმაცებული დავამირდა, მაყვალმა და შამბმა გადაუარა?!

შემოდგომით საპარლამენტო არჩევნებით მოსულმა მთავრობამ ყველაზე კარგად სწორედ ეს პრობლემა წარმოაჩინა მოსახლეობიდან მათთან წინასაარჩევნო შეხვედრებიდან. წარმოაჩინა და სასწრაფოდ შეუდგა მის მოგვარებას, მთავრობის მიერ შემუშავდა საგაზაფხულო პროგრამა – მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა აღნიშნული პროგრამა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს დრმად და საფუძვლიანად გააცნო **შპს „მექანიზატორის“ მინისტრობის სპეციალისტმა ზვიად ონიანმა**.

ბ-ნმა ზვიადმა, უპირველესად მათ ტერიტორიულ ორგანოებში საგაზაფხულო პროგრამის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა და ადგილებზე სიტუაციების სურათის ასახვის რამდენიმე საკითხი გააცნო.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში გლეხები და ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 5ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიიღებენ სასაქონლო-საინვენტარო სასოფლო-სამეურნეო ბარათს. ბარათის გამოყენება შეიძლება 2013 წლის 1 აგვისტომდე მოქმედ მოთქარებასა და არენდატორებზე 5 ჰა-ზე მეტი მიწის მფლობელებზე საბენეფიციარო დახმარება არ გაიცემა. როგორც ბ-ნმა ზვიადმა განმარტა, აქ სასოფ-

მთავრობა ხელს უწყობს მსიკაინიან ფერმერებს

„გერც ერთი ვერ აყვავდება, სანამ არ შეიგნებს, რომ მინდურის მოხვნა ისეთივე ღირსეული საქმეა, როგორც პოემის შეთხზვა“

ბ. ვაშინგტონი

საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის განხორციელება დაიწყო



სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძე და პარლამენტარი თინათინ ხიდაშელი რწმუნებულებთან შეხვედრაზე

ლო-სამეურნეო ბარათი წარმოდგენილია 2 ნაბიჯით: ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათი (დარიცხვა II ეტაპზე), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის ან ინვენტარის შექმნა და კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი. I ეტაპზე დარიცხვა ბარათი, რომლითაც შესაძლებელია ხვნის და ხნულის გაფხვიერების ე.წ. დადისკვის მომსახურების მიღება.

ბენეფიციარები (მოსარგებლები) კომბინირებულ და ნომინალურ ბარათებს მიიღებენ შემდეგი ფორმების მიხედვით: I ფორმატს – 0.25 ჰა-მდე. II ფორმატს მიეკუთვნება 0.25ჰა-დან 1.25 ჰა-მდე მიწა. – მესამეს – 1.25-დან 5 ჰა-მდე მიწის შესაკურთხე.

I ფორმატის მიწის ნაკვეთებით მოსარგებლების საკუთრებაში 0.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (სახნავი მიწა) და იყენებენ ერთწლიანი კულტურების წარმოებისათვის, ან მიწის ამ ნაკვეთს იყენებენ მხოლოდ მრავალწლიანი კულტურებისათვის (და არ გაანჩინათ სახნავი მიწა), ამ შემთხვევაში ბენეფიციარი მიიღებს 100 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს.

II ფორმატის მიწის ნაკვეთებით მოსარგებლები (რომელთაც მფლობელობაში ჯამურად გაანჩინათ 0.25-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სახნავი მიწა), მიიღებენ კომბინირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათს და ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლის ღირებულება იქნება მათი ჯამური სახნავი ნაკვეთის ფართობის პროპორციულ, 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით.

ის ბენეფიციარი, რომელსაც საკუთრებაში ჯამურად გაანჩინა 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს

ჩათვლით ფართობის სახნავი მიწა და ის შედგება ერთზე მეტი ნაკვეთისაგან, მაგრამ არც ერთი ნაკვეთი აქედან არ არის 0.25 ჰა ან მასზე მეტი, ამ შემთხვევაში ბენეფიციარმა (მოსარგებლემ) უნდა დააფიქსიროს აღნიშნული ფაქტი და რწმუნებული მას აღარ გადასცემს კომბინირებულ ბარათს. მათ მხოლოდ ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათი გადაეცემა, რომლის ღირებულება იქნება მათი ჯამური სახნავი ნაკვეთის ფართობის პროპორციული – 1 ჰა-ზე 510 ლარის გადაანგარიშებით.

თუ საკუთრებაში ჯამურად გაანჩინათ 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით სახნავი მიწა და ის შედგება ერთზე მეტი ნაკვეთისაგან, მაგრამ 1 ნაკვეთი მინც არის 0.25 ჰა ან მეტი, ბენეფიციარი (მოსარგებლე) მიიღებს კომბინირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, ამ შემთხვევაში აღარ მოხდება აღნიშნული ბარათის გადაცემა და დამუშავდება მხოლოდ 0.25 ჰა-ზე უფრო დიდი ზომის ნაკვეთები. ბენეფიციარი ასევე მიიღებს ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლის ღირებულება იქნება მათი ჯამური სახნავი ნაკვეთის ფართობის პროპორციული, 1 ჰა-ზე 300 ლარის გადაანგარიშებით.

იმ შემთხვევაში, თუ მფლობელობაში აქვს 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ის ჩათვლით სახნავი მიწა და ბენეფიციარს (მოსარგებლეს) უკვე დამუშავებული აქვს აღნიშნული ნაკვეთი, მაშინ ამ ფაქტის სოფლის რწმუნებულთან დაფიქსირების შემდეგ ბენეფიციარი აღარ მიიღებს კომბინირებულ ბარათს, მაგრამ მას გადაეცემა ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომლის ღირებულება ერთ ჰექტარზე 510 ლარი იქნება.

როგორც ბ-ნმა ზვიადმა განმარტა, თუ ბენეფიციარს მფლობელობაში ჯამურად

გაანჩინა 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთი, რასაც იგი მხოლოდ მრავალწლიანი კულტურებისათვის იყენებს (ამ შემთხვევაში მას სხვა სახნავი მიწა არ უნდა გაანჩინოს), ბენეფიციარი მიიღებს ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლის ღირებულება იქნება ბენეფიციარის ნაკვეთის ფართობის პროპორციული – 1 ჰა-ზე 510 ლარის გადაანგარიშებით.

III ჯგუფის ფორმატის მიწის ნაკვეთებით მოსარგებლები (რომელთაც მფლობელობაშია მიწის ნაკვეთი 1.25 ჰა-დან 5 ჰა-ის ჩათვლით), რომლებიც ფლობენ სახნავ მიწას და ამასთან დამატებით ფლობენ მიწის ფართობს მრავალწლიანი კულტურებით, ამ შემთხვევაში ბენეფიციარი ბარათის მხოლოდ სახნავ მიწაზე მიიღებს. ასევე, თუ ბენეფიციარი აღნიშნულ ფართობს იყენებს მხოლოდ მრავალწლიანი კულტურებისათვის და არ გაანჩინა სახნავი მიწა, ასეთ შემთხვევაში იგი 640 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს მიიღებს.

მაგრამ, როგორც ბ-ნმა ზვიად ონიანმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭიროა თითოეული ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები მაღალი პასუხისმგებლობით ჩაერთონ ამ პროექტში. ამიტომ უნდა შემუშავდეს კონკრეტული ტერიტორიული ერთეულში კონკრეტული სამოქმედო გეგმა და მოხდეს სიტუაციური სურათის ასახვა და შემდეგ ისე დარიცხვას სასოფლო-სამეურნეო ბარათები. ამიტომ რწმუნებულებმა თემში და თემში შემაჯავლ თითოეულ სოფელში სავარაუდოდ უნდა იცოდნენ ბენეფიციარებიდან როგორ გამოიყენებს ბენეფიციარი სასაქონლო, საინვენტარე (ნომინალურ) ბარათს, რომელიც ბენეფიციარებს მარტში დაურიგდებათ და ამ საბარათო სარგებლის განაღდებაც სწორედ იმავე თვეში მოხდება. ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროფილის მდანიშნობა სწორად განსაზღვრული, ან მიხედვითი რაოდენობის საჭირო ინვენტარი უნდა შემოიტანონ. ასევე საინტერესოა საგარეჯოდ, რა კულტურის დათესვას აპირებს ბენეფიციარი, თუმცა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს სათესლე მასალა ვერ შემოაქვს. რწმუნებულმა ბენეფიციარს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, იმ გრაფიკის შესახებ, როცა მოხდება მისი მიწის ნაკვეთის დამუშავება. ასევე, მან უნდა შეძლოს არასტანდარტული სიტუაციების და შემთხვევების აღრიცხვა-ჩაწერა (ჩანაშენა) შემდგომი რეაგირებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს არ სურს და მასშიმალური ახსნა-განმარტების (ინფორმირების) შემდგომაც კატეგორიულად უარს აცხადებს ბარათის მიღებაზე, მაშინ ამ კონკრეტულ პირობებზე სოფლის რწმუნებულები სთხოვს ახსნა-განმარტების – განაცხადის დატოვებას უარის თქმის მოტივაციის დროებით (შესაბამისი ხელმოწერით) და რამდენიმე მოწმის ხელმოწერით. რწმუნებულებმა ადგილებზე შექმნილ კომისიებში უნდა გააერთიანონ სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები.

რედაქციის მუნიციპალიტეტი

„სოფლის განვითარების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები

11 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მუნიციპალიტეტის მთელი რიგი ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობას შეხვდა. ამ შეხვედრებზე მკაფიოდ გაამოკვეთა ის კრიტერიუმები, რომლებიც, რომლის მოხერხებაც პროგრამა „სოფლის განვითარების მხარდაჭერის“ პროექტის განხორციელებაშია შესაძლებელი.

თითქმის ყველა ტერიტორიულ ერთეულში პროგრამები ერთნაირია: სახელმწიფო ფხვლი, შიდასასოფლო გზები, ზოგიერთში კი საკრებულოს შენობის მოწესრიგება. შეხვედრებზე მოსახლეობის მხრიდან წამოყვანილი კრიტერიუმებიდან მალე დაიბეჭდა განსახორციელებელი ღონისძიებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

თავი
თულარი



ზაურ ალიევი

მიწვევით კარგად იცის ქართული ენა:

– სოფელ თულარამდე მისასვლელი გზა, რომელიც 2012 წელს დაიგო, უკვე დაზიანებულია, ასევე, თულარისა და კახლარის დამაკავშირებელი გზაც. გვარიადა დაზიანებული ე.წ. თულარის მთავარი, ცენტრალური გზაც. შიდასასოფლო გზები, რომლებიც 5 კილომეტრზე მეტია, მოსახლეობაშია. გაკეთდა გზები, მაგრამ უხარისხოდ – ასფალტის გზა ორმულად დასაშუალებულია უკვე.

მართალია, სახმელი წყლის 5 ჰაბურდელია, მაგრამ ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს სახმელი წყლით მოსახლეობის მოთხოვნას – ჰაბურდები იმდენად არის მოსახლეობიდან მოცილებული, რომ მათ უჭირთ შორი გზიდან წყლის ზიდვა. მართალია, თულარში შპს „სოკარ-ჯორჯია კახეთის გაზმა“ 5 საუბნო ონკანი გამოიყვანა სახმელი წყლისათვის, მაგრამ ვერც ეს ონკანები აკმაყოფილებს მოსახლეობის მხარდ მოთხოვნას სახმელ წყალზე.

რაც შეეხება ბუნებრივი აირით მოსახლეობის სარგებლობას, აქ უკვე მოსახლეობა თავს იკავებს. მიზეზი ჯერ გაზის სიძვირეა და შემდეგ კი ბუნებრივი გაზის ცენტრალური მილსადენიდან სახლში შეყვანა, რომელიც მართლაც დიდ თანხებს მოითხოვს მთელ რიგ შემთხვევებში. ერთი სიტყვით, სოფელი გაზიფიცირებულია, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ხდება ბუნებრივი აირის მომხმარებელი ეკონომიური გასაჯაროს გამო.

ელექტროენერჯის მოწოდებასა და მოხმარებელი ელექტროენერჯის ღირებულების გადახდაზე ჯერ-ჯერობით პრობლემები არ არის.

– რა მდგომარეობაა საჯარო სკოლის შენობის ირგვლივ?

– 2011 წელს კახლარში უნდა დაწყებულიყო დაწყებითი სკოლის მშენებლობა, რაზედაც მასზე 21 198 ლარიც იყო გამოყოფილი, მაგრამ მარტო კახლარისა კი არა, თულარის მოსახლეობაც დღესაც ელოდება სკოლის შენობის მშენებლობას. ჩვენი თემის ორივე სოფლის მცხოვრებნი ღამ-



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი თულარის მოსახლეობასთან შეხვედრაზე

ბალოს საჯარო სკოლაში დადიან, სადაც მილიანად 1015 მოსწავლეს 69 პედაგოგი ემსახურება. ისევე, როგორც ლამბალოს თემის მოსახლეობა, ჩვენი თემის მოსახლეობაც სულმოუთქმელად ელოდებით ლამბალოს საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყებას. აქ, როგორც მოგვხსენებთ, ძველი შენობა დაანგრეს მშენებლებმა, მაგრამ ჩვენ ველოდებით ტენდერს – არ გვინდა ძველი სკოლის დამანგრეველმა მშენებლებმა ააშენონ შენობა. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ტენდერში ღირსეულმა სამშენებლო ორგანიზაციამ გაიმარჯვოს – საქმე ეხება სკოლის შენობის დიდი პასუხისმგებლობით აშენებას. მანამდე კი ჩვენი თემის მოსახლეობის შეილება დაქირავებულ სახლებსა და გომურებში სწავლობენ.

– საქიმო ამბულატორიაზე რას გვეტყვი?

– ჩვენს მოსახლეობას სხვა თემის მო-

სახლეობასთან ერთად მუდამდოს საექიმო ამბულატორიაში უხდებთ მისვლა. ისე, გვერდებიან რომ ჩვენს მოსახლეობას ადგილზე ექნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საშუალება.

– როგორც ჩანს, თემში მართლაც ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი?

– დიახ, მაგრამ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა იძლევა დაპირებას, რომ პრობლემებს ნელ-ნელა მოაგვარებს. უპირველეს ყოვლისა კი, გვინდა რომ მოგვარდეს საჯარო სკოლის შენობის, საბავშვო ბაღის (თუნდაც ორი თემის მოსახლეობისთვის), სპორტული მოედნის, ან უფრო სწორად სპორტული დარბაზის მოწყობის ან მშენებლობის საკითხი.

– სპორტის შესახებ მინდოდა მეკითხა, საინტერესოა თქვენთან თუ არიან სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდები?

– როგორ არა, საკმაოდ ბევრი. ისინი, უბრალოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით გამოდის ასპარეზობებზე. ჩვენ გვეყავს კინგ-ბოქსინგში – შარიფოვი, რომელიც ჩვენთან ცხოვრობს, მაგრამ შეჯიბრებებში ბაქოს სახელით გამოდის, იქ იღებს მონაწილეობას... არიან ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ ჭიდაობის დაუფლების. ენახოთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ქინი თინათინ ხიდაშელი სწორედ ამ საკითხით არიან დაინტერესებული, დახმარებას დაგვიპირდნენ.

– მოსახლეობის ძირითადი საჭიროება...

– ჩვენს მოსახლეობას მაინც მესაქონლეობა მიაჩნია რენტაბელურ დარგად და ასეც რჩება ჯერჯერობით, რადგან მათ მიწის ნაკვეთები თითქმის აღარ აქვთ. მხედვ-



საგარეჯოს ცენტრიდან თულარამდე 35 კილომეტრია. თემის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწები – 1851 ჰა. აქედან: კერძო საკუთრებაშია 177 ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში 1674 ჰა. სულ სახნავი – 107 ჰა, აქედან, კერძო საკუთრების სექტორში – 964,3 ჰექტარია, სახელმწიფო საკუთრებაშია 107 ჰა. საძოვარი – 760 ჰა, საიდანაც კერძო სექტორშია 120 ჰა, ხოლო სახელმწიფო სექტორში – 640 ჰა. მრავალწლიანი ნარგავები – 120 ჰა, რომელიც მთლიანად კერძო საკუთრებაშია. კომლი – 1050 მოსახლეობა – 7000; თულარის თემში შედის თულარი და კახლარი; თულარში გასულ, 2012 წელს მოიხრემა სოფლის გზები, რომლებზეც 45778 ლარი გაიხარჯა, კახლარიდან თულარამდე მისასვლელი გზის მოხრეშვაზე კი 19874 ლარის სამუშაოები შესრულდა. თულარის რამდენიმე უბანში სახმელი წყლის გაყვანაზე 15 ათასი ლარი გაიხარჯა, ხოლო კახლარის სახმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციაზე – 6500 ლარი. 2011 წელს კი თულარში სახმელი წყლის ჰაბურდის მოწყობას 34869 ლარი მოხმარდა. ამ წელსვე კახლარისათვის ტრაქტორ-ექსკავატორის შესაძენად 21219 ლარი გაიხარჯა. 2010 წელს თულარში ჰაბურდის ბურღვის სამუშაოებს 31700 ლარი მოხმარდა, თულარსა და კახლარში წყლის რეზერვუარის შექმნას 5 ათასი ლარი, სოფელ კახლარში სახმელი წყლის ჰაბურდის მოწყობას – 27500 ლარი. 2009 წელს თულარში მოეწყო სარწყავი და სანიადრე არხები, რაზედაც 32900 ლარი გაიხარჯა. 2008 წელს კახლარის სასოფლო-გზის მოხრეშვას 14400 ლარის სამუშაოები დასჭირდა. ერთი შეხედვით, დღეს თულარს მნიშვნელოვნად უნდა აქონდეს მოხსნილი ყველანაირი პრობლემა, რომლებზედაც თულარის თემის რწმუნებული ზაურ ალიევი გვესაუბრება (ცნობისთვის) – ზაურმა ზედ-

საპარეჯოს მუნიციპალიტეტი

თბილისი თულარი

დასასრული

ელობაში მაქვს ის 5000 ჰა მიწა, რომელიც წინა მთავრობამ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ჩვენი მოსახლეობის გვერდის ავლით აუქციონზე გაიტანა და ირანულ ინვესტორებს მიჰყიდა.

– როგორც მაგნიტის აუქციონზე ამ მიწების გატანა იმან განაპირობა, რომ თქვენი თემის მოსახლეობა ამ მიწებს ფლობდა ყოველგვარი იჯარისა და პრივატიზაციის გარეშე. ერთი სიტყვით თავს არიდებდნენ მიწის გადასახადს, რადგან ამ მიწებიდან არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა სახელმწიფოს და არც მისი მიყიდვლი ჩანდა.

აუქციონზე გაიტანეს და ვინც მეტი გადაიხდა, მიწაც მას დარჩა. მაგრამ დიდი შეცდომა სწორედ ის არის, თუ მოსახლეობამ ვერ გაიგო აუქციონის დრო და პირობები.

– დიახ, სწორედ ასეა. იმ 5 ათასი ჰექტარიდან შეიძლება თულარისა და კახლარის მოსახლეობას სულ უმნიშვნელო, ვთქვათ 500 ჰექტარი შეეძინა, მაგრამ ხალხს, მოსახლეობას უნდა სცოდნოდა, რადგან შესაძლებელი იქნებოდა სწორედ საქონლისთვის საჭირო საკვებს დათესავდა და მოიყვანდა.

– დღეს კი მოგვხსენებთ, ჩვენი ქვეყნის ახალი მთავრობა რა დიდ ყურადღებას იჩენს

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მალე საირიგაციო სისტემასაც მიხედვით მთავრობა და მეურნე, მშრომელ ადამიანს კი მეტი რაღაც სჭირდება – მიწა, გამართული სარწყავი სისტემა, მთავრობიდან ისეთი ხელშეწყობა, რომინისტების დროსაც რომ არ ჰქონიათ – მიწის უფასოდ მოხვნა, დაფარვა, დათესვა, უფასო სასუქები, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარი – თუმცა დღეს კარგ მიწებსაც უნდა იყოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას, ე.წ. „ჭაღებში“ არსებული მიწები ყველაზე საუკეთესოა, ვგონებ ჩვენს მუნიციპალიტეტში...

– სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?

– ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ შეისწავლა ჩვენი თემის მოსახლე-

ობის მიერ დაყენებული პრობლემები და აქაც გამოჩნდა გამოსავალი – ჭაბურღილებს ყურადღება მიექცევა, გაკეთდება რეზერვუარები და სახმელი წყლის სისტემა, იმედი გვაქვს, საბოლოოდ მოწესრიგდება.

– რაც შეეხება სხვა პრობლემულ საკითხებს, თემის მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის წინაშე რა საკითხები დააყენა?

– სახმელ წყალზე უკვე ვთქვით. საქმე ეხება სარწყავი სისტემის გაწმენდას და მის ამოქმედებას. ასევე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყურადღება უნდა დაეთმოს სასოფლო გზების მოწესრიგებას და თემს არა აქვს საკრებულოს შენობა. ენახოთ... ყველაფერს ახლო მომავალი გეგმავს.

შსპ შპს თინა ილაური



მუხარბი მამალოძე

თბილისი ლაგბალო

მიწების გაყიდვით სააკაშვილის ხელისუფლებამ სწორედ ეს საარსებო წყარო გამოაცალა ხელიდან ჩვენს მოსახლეობას. ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, სოფლები გვექვია, მაგრამ პროდუქტების საყიდლად აქაურებს ქალაქში გვიწევს სიარული, იმის მაგივრად, რომ აქადაგილზე მოვიყვანოთ და ჩვენ შეგვექონდეს იქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

– ლამბალოს მოსახლეობა ვერ კიდევ იმ მთავრობის ხელში გამოთქვამდა საკვლეურებს ავარიული და უხარისხოდ შეკეთებული გზების გამო. თუ გამოსწორდა ეს მდგომარეობა?

– ეს გზები სახელდახელოდ, თვალის ასახვევად შეკეთდა და მალევე გამოვიდა მწყობრიდან, როგორც კი წვიმები დაიწყო. მეტი საარწმუნო კამპანია დაიწყო და მათი ხელახლა შეკეთებისათვის ვინდა მოიცდიდა. თქვენ თუ ამ სოფლებში გაივლით, თვითონვე ნახავთ, რა მდგომარეობაშია საუბრო გზები. როცა ამ გზებს ხრეშავდნენ და აწვრილებდნენ, მშენებლებმა საქმე ზურგელზე გააკეთეს. ამიტომ ერთი თავსხმა წვიმაც საკმარისი გახდა, რომ ისინი მწყობრიდან გამოსულიყო და ხელახლა გამხდარიყო სარემონტო.

– შარშან, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში კახეთის რეგიონის ვახუთ „სექტორში“ დაიბეჭდა წერილი თქვენი სოფლის შესახებ, სადაც სხვათა შორის, საუბარი იყო მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საქმეში არსებული ხარვეზების შესახებ. რა მდგომარეობაა სადღესოდ ამ მხრივ?

– სადღესოდ სოფლის ტერიტორიაზე მოქმედებს და მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება სამი ჭაბურღილიდან. არის კიდევ ერთი ჭაბურღილი, სადაც დასამონტაჟებელია სათანადო რეზერვუარი. ამის გამო აქ წყალი გზაზე უმიზნოდ იღვრება და აზიანებს ისედაც დაზიანებულ საუბრო გზას. ჩვენ აღნიშნულის შესახებ უკვე დავეცით ზრუნვა და იმედია რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით მალე შემოვიტანოთ და დავაამონტაჟებთ სათანადო აგუს, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება ჩვენი მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების საკითხი.

ლების საქმე.

– როგორც ცნობილია, ლამბალოელთა ერთ-ერთ დიდ პრობლემას სასკოლო შენობის უზონდობაც წარმოადგენს. აღარ არსებობს ძველი სამსართულიანი სკოლის შენობა, სადაც ავარიული მდგომარეობის გამო მიუღი რიგი წლების მანძილზე მეცადინეობები აღარ ჩატარებულა და მოსწავლეებს დაქირავებულ შენობებსა და საქონლის სადგომებში უწევთ ყოფნა. ამ მდგომარეობის გამოსწორებას შეაირინდნენ ლამბალოელ მოსწავლეებს შარშან იორმუდანლოს ქართული ენის სახლის გახსნაზე მყოფი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე. ასევე, ყოფილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშინი და კახეთის გუბერნატორი გიორგი დვინიაშვილი. მათი განცხადებით, ქვეყნის მთავრობა ვალდებულია იღებდეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის აქაური მოსწავლეები ახალ სასკოლო შენობაში განაახლებდნენ სწავლას, მაგრამ ეს დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა. რა მდგომარეობაა ახლა ამ მხრივ. იორმუდანლოს საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის საქმე.

ლაგბალო, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ჩვენ 60 მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უდიდესი სოფელია. 2013 წლის იანვრის მდგომარეობით ამ აღრიცხული იყო 8700-ამდე მოსახლე, საიდანაც 4515 საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირია.

– ჩვენი სოფლისა და მე ვიტყვი, მთელი აზერბაიჯანელი დასახლების მთავარი საწუხარი და პრობლემა მაინც ის 5 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულოა, რომელიც ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელებმა არაბებს 6 მილიონ ლარად მიჰყიდეს, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ლამბალოს ახალმა მუნიციპალურმა მამალოძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე 2012 წლის 14 დეკემბერს დაინიშნა. – ყველამ, ვისაც კი სოფელში უცხოვრობია, ან რაიმე შეხება აქვს სოფელთან, კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს სოფელი კაცი უმიწოდ. ფაქტობრივად, ასეთი კაცი ქალაქში მაცხოვრებელზე უარეს მდგომარეობაშია, რადგან იქ ესა თუ ის სამუშაო მაინც იშოვება, აქ კი რა უნდა გააკეთოს კაცმა?! სოფელში თუ მოსავალი არ მოიყვანე, ან პირუტყვი არ გვეყოლება, სხვას ვერაფერს გააკეთებ. ამ



ბულის მშენებლობის მაგივრად, ლამბალოშიც ხომ არ დაიწყო სკოლის მშენებლობა?

– მართალია, სკოლის მშენებლობის დაწყების საკითხი ჩემი კომპეტენციის ფარგლებში არ შედის, მაგრამ, როგორც აქაურმა და სოფლის რწმუნებულმა, რა თქმა უნდა, ვიცი რაც აქ ხდება. იმის გარდა, რომ მოხდა ძველი ავარიული სკოლის შენობის დემონტაჟი, სხვა სამუშაოები ვერაფრით არ დაწყებულა. ჩვენს მოსწავლეებს შარშანდელის მსგავსად დაგირავებულ შენობებში უწევთ მეცადინეობა.

ხულის დადგომას. ისინი ასევე იმედის თვალთ შესცქერიან და მოელან ჩვენი ხალხის მიერ 1 ოქტომბრის დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის ხელისუფლებაში მოყვანილი ახალი მთავრობის დაპირებას მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოებში დახმარების შესახებ, რაც იმედი უახლოეს მომავალში დაიწვევა.

შსპ შპს თინა ილაური

სურათებზე: ბესიკ მარტიაშვილის შეხვედრა ლამბალოელებთან.



სკოლამდელი აღზრდის დანახარებების მნიშვნელობა სააღზრდლო პროცესში

ამ სასკოლოდ ემზადებიან



ბანათლების სისტემა სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნებს უწყობს სკოლამდელი აღზრდის დაფინანსების თანამართლებას – მათ თანამართლიან აღზრდელი საბავშვო ბაღის კედლებში სკოლისათვის უნდა მოამზადონ, გამოუმუშაონ მთელი რიგი ის უნარები და ჩვევები, რომელიც პირველკლასელისათვის აუცილებელია. სწორედ ამ საკითხებზე საუბრობს დღეს ჩვენი ბავშვთა უზრუნველყოფის საბავშვო მუნიციპალიტეტის აიპ „სკოლამდელი და სკოლისბავშვების სასწავლო დაფინანსებათა ბაიბლიკის“ დირექტორი ელზა ბილაშვილი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და განათლების პროგრამა მიმართულებას იძლევა ბავშვში განვითარდეს ის უნარები და პიროვნული თვისებები, რომლებიც ინტენსიურად სკოლამდელ ასაკში ყალიბდება, ხოლო შემდგომ ზრდასრული ადამიანის სტრუქტურაში შედის სოციალურ ინტელექტუალური და ზნეობრივ-ინტელექტუალური ღირებულებების სახით.

კარგადაა ცნობილი, რომ ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმზე გავლენას ახდენს არა მარტო ბუნებრივი გარემო პირობები, რომელშიც ბავშვებს უხდებოდა ცხოვრება, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდასა და სწავლებას, რომლებსაც ისინი სკოლამდელ და შემდგომ სასწავლო დაწესებულებებში ღებულავენ.

უმცროსი სასკოლო ასაკის მანძილზე ხორციელდება ცალკეული ფსიქიკური პროცესის განვითარება. სკოლაში ახლად მისულ ბავშვებს ჯერ კიდევ არა აქვთ მიზანმიმართული ყურადღება, მაგრამ ცნობილია, რომ სკოლამდელი ბავშვობა უნებლად ყურადღებისა და მეხსიერების სიჭარბის ასაკია. ბავშვი ყურადღებას აქცევს მისი უშუალო ინტერესის საგანს, რაც ადრევე მის ემოციას და ის, რაც იზიდავს მის ყურადღებას „თავისთავად“ ამასსოვრდება. ბავშვს უფრო ადვილად ამასსოვრდება თვალსაჩინოებანი, ვიდრე სიტყვიერი მსჯელობა. სკოლამდელ ასაკში ბავშვს აქვს ნებისმიერი ყურადღება და ნებისმიერი მეხსიერება. სკოლამდელი ასაკის ბოლოს ბავშვს შეუძლია ხანგრძლივად ნებისმიერი ყურადღების წარმართვა, უვითარდება სიტყვიერი, აზრობრივი მეხსიერება.

სკოლამდელ დაწესებულებებში რეჟიმის ცალკეული მომენტის ხასიათი და ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ნერვულ-ფსიქიკურ განვითარებაზე და სხვა.

სკოლამდელ ასაკში ბავშვი სწრაფად იზრდება და ვითარდება. აღინიშნება ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და მოთხოვნილებათა მკვეთრი ცვლილებები, ამიტომ დღის რეჟიმში მნიშვნელოვანია ძილი, სეირნობა, თამაშები, გამოსაწართობი პროცედურები, ჭამა, სავალდებულო ორგანიზებული მეცადინეობა, შრომითი და

პიგიენური ჩვევების გამოუმუშავება. სკოლამდელ პერიოდში ბავშვისათვის წამყვანი ქცევაა თამაში. თამაშის დროს ბავშვს უვითარდება აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, მეტყველება და ასე შემდეგ. ცნობილია, რომ სკოლაში შესვლა ბავშვის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი, ვინაიდან სასწავლო მეცადინეობა სკოლასა და სახლში მათი ცხოვრების ძირითადი შინაარსი ხდება, რაც მოსწავლელისათვის დიდი დატვირთვაა. ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი შედარებით ძნელად ეგუება მისთვის ახალ, უჩვეულო სასკოლო ცხოვრებას. ბევრი ბავშვი სკოლაში მიდის საბავშვო ბაღიდან, სადაც მას ჰქონდა სავალდებულო ორგანიზებული მეცადინეობა, ხოლო იმ ბავშვებს, რომლებიც საბავშვო ბაღში არ დადიოდნენ, არა აქვთ

ტორიკა. ბავშვი ითვისებს გარე სამყაროს, აქტიურად მოქმედებს მასში, ავლენს დიდ მოქნილობას, ცნობისმოყვარეობას, მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი, სრულყოფის მრავალფეროვან უნარ-ჩვევებს, ვითარდება ფიზიკურად და გონებრივად. საბავშვო ბაღში ბავშვთა აღზრდა და სწავლება განსაზღვრული სისტემით, თანმიმდევრობით მიმდინარეობს. სკოლამდელი აღზრდის განხორციელების პროცესში ცნობილი თანამიმდევრობაა: ყველაზე ადვილი მხელისაქენ, ახლობლიდან შორეული-საქენ, მარტივიდან რთულისაქენ.

საბავშვო ბაღში აღზრდელს უნდა



გამომუშავებული ხანმოკლე სავალდებულო მეცადინეობის ჩვევაც კი. ამიტომ მათ შეეუბნება უხდებოდა არა მარტო სასკოლო ცხოვრების ახალ პირობებთან, არამედ სასწავლო მუშაობის სავალდებულო რეჟიმთანაც. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს დღის რეჟიმის პიგიენური მოთხოვნილებების გათვალისწინებით აგებას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი დაქანცვისა და ჯანმრთელობის განმტკიცების თვალსაზრისით. სწორედ რომ სკოლამდელი აღზრდა აგებულია ბავშვის ზრდის თავისებურებებისა და განვითარების კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე. აღზრდელის ჩარევით ბავშვს ადრეული ასაკიდან გამოუმუშავდება სათანადო უნარ-ჩვევები, ცოდნა და გააფუფულება. ბავშვის ცხოვრებაში ჩართვება რთული საქმიანობა – თამაში, მეცადინეობა, დაკვირვება და ასე შემდეგ. უფრო ვითარდება ფსიქიკა, მეტყველება, მო-



მისცეს გარკვეული ცოდნა, ჩვევები, მოამზადოს იგი სკოლისათვის. საბავშვო ბაღების სასწავლო პროგრამებში განსაზღვრულია აღზრდელთა მიერ მუშაობის შინაარსი, ცოდნა-ჩვევების ის მოცულობა, რომელიც უნდა მიიღოს თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვმა. საბავშვო ბაღებში შემოღებულია ორგანიზებული სავალდებულო მეცადინეობა, რომელიც ამზადებს ბავშვებს სკოლაში სწავლისათვის. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს სწორი მეტყველების შესწავლას, სიტყვის მარაგის გამდიდრებას, გარემოსა და მშობლიური გარემოს გაცნობას. აღზრდელის სწავლობენ ანგარიშს, ხატვას, ძეგლს, კონსტრუირებას. 6 წლის ასაკში იწყებენ კითხვისა და წერის საფუძვლების შესწავლას. მეცადინეობის პროცესში ბავშვები ეჩვევიან აღზრდელის ახსნის მოსმენას, ყურადღებიანობას, თავიანთ მოქმედებაში აღზრდელის მითითებით ხელმძღვანელობას, ბავშვთა კოლექტივში მუშაობას, სწავლას. მეცადინეობა ტარდება სპეციალური მეთოდური მითითების შესაბამისად, სადაც ფართოდაა გამოყენებული თვალსაჩინოების საშუალებანი, დიდაქტიკური თამაშები, საბავშვო წიგნები, ზღაპრები, ექსკურსიები, რაც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, ადვილად აითვისოს მთელ პერიოდში პროგრამით გათვალისწინებული მასალა და მთელი მეცადინეობის პერიოდში შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა. ამიტომ ბევრი რამ დამოკიდებულია თვით აღზრდელზე, მის უნარსა და ერუდიციამზე, უპირველესად კი მის პიროვნულ თვისებებზე.

ახლა სავალდებულოა ბავშვმა საბავშვო ბაღში გაიაროს ის პროგრამა, რომელიც მას სკოლაში სწავლის დაწყებას, პირველ პერიოდს გაუადვილებს. საბავშვო ბაღებში უკანასკნელ ხანს დანერგილი სიახლეები: ინოვაციური და ინტერაქტიური მეთოდებით 5-6 წლიანთა ჯგუფებში მეცადინეობების ჩატარება მართლაც რომ ამართლებს – ბავშვი სკოლაში სრულიად მომზადებულია, მოწესრიგებული და გატვითცნობიერებული მიდის. ამიტომ, ყველა მშობელი ყურადღებით, მაღალი პასუხისმგებლობით უნდა იყოს – სისტემატური ხასიათი მისცეს ბავშვის საბავშვო ბაღში ყოველდღიურ სიარულს.

მოდერნიზაცია

გრიპი სერიოზული ინფექციური დაავადებაა

ღამთარი იწურება, მაგრამ გრიპი კვლავ საშიშ დაავადებად რჩება. როგორც ექიმები ამბობენ, გრიპს თუ დროულად არ მიაქციე ყურადღება, შესაძლოა, სერიოზულ გართულებებში გადაიზარდოს, გამოიწვიოს სხვა ორგანოების დაზიანება, გაამწვაოს ქრონიკულად მიმდინარე დაავადებები და ადამიანი სიკვდილამდეც კი მიიყვანოს, რისი ფაქტობაც უკვე დაფიქსირდა საქართველოში სიკვდილი

გამოწვეული იყო „ღორის გრიპის“ შემთხვევების გამო. ექიმები გვირჩევენ, მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ, დროულად მივმართოთ შესაბამის დაწესებულებებს და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ჩავიტაროთ ყველა საჭირო კვლევა-მკურნალობის კურსი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვიყვარს სტაციონარში ვიზიტი, გვირჩევნია ფეხზე მოვიხადოთ გრიპი და არ ვფიქრობთ იმაზე, გარდა ჩვენი ჯანმრთელობისა, რამდენ ადა-

მიანს ვუქმნით საფრთხეს. გართულებული შემთხვევების დროს კი ავადმყოფი სტაციონარში უკვე ორგანოებისა და სისტემების დაზიანებით მიდის. ეს დაგვიანებული შემთხვევები კი შესაძლოა სიცოცხლისათვის ძალიან საშიში აღმოჩნდეს. ამიტომ, როცა ეპიდემიის ზღვარზე ვართ, არ უნდა მოვალუნოთ ყურადღება და რაიმე სიმპტომის შენიშვნისას არც სხვა ადამიანებს უნდა შევუქმნათ საფრთხე. როგორც ცნობი-

ლია, გრიპისათვის ყველაზე საშიში თვეა თებერვალი. სწორედ ამ თვეში ავადდება ადამიანი გრიპის ვირუსით და მიმართავს ხალხურ მედიცინას. ხშირად მიმართავს ხალხურ მეთოდებს, მაგრამ არ იცის, რომელი მცენარე როგორ უშველის. ამიტომ არ უნდა მივმართოთ არც ხალხურ მედიცინას და არც აფთიაქში ნებისმიერ პრეპარატს. რეკლამირებული პრეპარატების შექმნას აფთიაქში და საკუთარი რეცეპტით დაავადებასთან ბრძოლას ბევრად სჯობია მივმართოთ ექიმს.

